ხელშეკრულება #34

29.10. 2019 წ. **ქ. ყვარელი**

ერთის მხრივ „შემსყიდველი" ა(ა)იპი ყვარლის კულტურული მემკვიდრეობის სპორტულ-გამაჯანსაღებელი და დასასვენებელი ობიექტების დაცვის ცენტრი სახით და მისი დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი მამუკა ნათელაძის სახით ერთი მხრივ და სსიპ „ქ. თელავის ვაჟა ფშაველას სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი" და მისი სამხატრო დირექტორი პაატა გულიაშვილის შორის "მიმწოდებლად" წოდებული, მეორე მხრივ, წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე თანხმდებიან შემდეგზე.

1.ხელშეკრულების საგანი

ა(ა)იპი ყვარლის კულტურული მემკვიდრეობის სპორტულ-გამაჯანსაღებელი და დასასვენებელი ობიექტების დაცვის ცენტრისთვის ილიაობის კვირეულის ფარგლებში (CVP 92300000) გასართობი მომსახურების შესყიდვა

2.საქონლის მიწოდების წესი, ვადები და ღირებულება

2.1. მიმწოდებელი შემსყიდველს მომსახურებას მიაწოდებს ხელშეკრულების გაფორმებიდან 2019 წლის 8 ნოემბრის ჩათვლით შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად.

2.2ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 3750 (სამიათას შვიდას ორმოცდაათი) ლარს.

3. ანგარიშწორება მხარეთა შორის

3.1. ანგარიშსწორება მხარეთა შორის ხორციელდება ორ ეტაპად უნაღდო ანგარიშსწორების წესით მიწოდებულ მომსახურების შესაბამისი მიღება ჩაბარების აქტისა და ანგარიშსწორების ფაქტურის ან მიღება ჩაბარების წარმოდგენიდან 10 დღის ვადაში.

4.მხარეთა ვალდებულებები

4.1.მიმწოდებელი კისრულობს ვალდებულებას

4.1.1. ა(ა)იპი ყვარლის კულტურული მემკვიდრეობის სპორტულ-გამაჯანსაღებელი და დასასვენებელი ობიექტების დაცვის ცენტრს მიაწოდოს ზემოთაღნიშნული მომსახურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში

4.2."შემსყიდველი" კისრულობს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს მომსახურების ღირებულება ანგარიშსწორების ფაქტურის წარმოდგენიდან 10 დღის ვადაში.

4.3 მიწოდებულ საქონელზე მიმწოდებლის ბრალეულობით გამოწვეული დეფექტის, ან და ქარხნული დეფექტის აღმოჩენის შემთხვევაში მიმწოდებელმა დაუყოვნებლის უნდა აღმოფხვრას დეფექტი.

5. დავათა განხილვის წესი

5.1. მხარეები შეეცდებიან ურთიერთ მოლაპარაკების საფუძველზე გადაჭრან დავები. იმ შემთხვევაში, თუ ისინი ვერ გადაჭრიან დავას, იგი განიხილება სასამართლოს მიერ.

6. მხარეთა პასუხისმგებლობა

6.1ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში ყოველ დაგვიანებული დღისათვის მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0,02 % ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის. თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 0,06%-ს შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

6,2 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულების შესრულებისაგან.

7. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

7,1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედების ვადა 1 თვით აღემატება ხელშეკრულების შესრულების ვადას

შემსყიდველი

ა(ა)იპი ყვარლის კულტურული მემკვიდრეობის

სპორტულ-გამაჯანსაღებელი და დასასვენებელი

ობიექტების დაცვის ცენტრი

ს/კ 441554649

დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

მამუკა ნათელაძე

Center for Protection and Development of Kvareli Cultural Heritage Sports-Recreation and Leisure Objects

Digitally signed by Center for Protection and Development of Kvareli Cultural Heritage Sports-Recreation and Leisure Objects
Date: 2019.10.29 12:41:27 +04'00'

მიმწოდებელი

სსიპ „ქ. თელავის ვაჟა ფშაველას სახელობის

პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი“

ს.კ. 231169641

ქ. თელავი, ერეკლე II მოედანი N7

სახელმწიფო ხაზინა

ხაზინის ერთიანი ანგარიში 708327019

სამხატვრო ხელმძღვანელი

პაატა გულიაშვილი

Paata Guliashvili

Digitally signed by Paata Guliashvili
Date: 2019.10.29 18:52:34 +04'00'